პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 100

2019წ. "10" 04

ქ. თბილისი

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 30[1]-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტს (ს/კ:211349192) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი პროფესიული და/ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე /საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოებაში 040965	96	111	ქართული	30	ქ. თბილისი. მ. კოსტავას ქ. №68

2	სამკერვალო წარმოება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში 040966	99	114	ქართული	30	ქ. თბილისი. მ. კოსტავას ქ. №68
3	ბეჭდვითი მედიატექნოლოგიები (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ბეჭდვით მედიატექნოლოგიებში 080160	92	107	ქართული	30	ქ. თბილისი. მ. კოსტავას ქ. №68
4	ავტომობილის ძრავის შეკეთება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში 040781	57	72	ქართული	30	ქ. თბილისი. მ. კოსტავას ქ. №68
5	ავტომობილის ელექტრული სისტემის შეკეთება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში 040781	81	96	ქართული	30	ქ. თბილისი. მ. კოსტავას ქ. №68

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

2. პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1444-ით.
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 10 აპრილის №6 სხდომის ოქმის მეცამეტე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
თამარ ქიტიაშვილი

მდივანი
ლელა მაისურაძე